დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 11 კვირა, 30 ნოემბერი 1908 წ.

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

განსვენებულის

ბარბარე ილიას ასულის რცხილაძის

სულის მოსახსენებლად ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კვირას, 30 ნოემბერს, ქაშუეთის ეკლესიაში.

(2—უ—2)

ტფილისის სახაზინო თეატრი

კვირას, 30 ნოემბერს, ორი წარმოდგენა

დილით: „კარმენი“ და პროჟექტორი; **საღამოთი:** „დუბროვსკი“

მონაწილენი: ქ-ნნი დრუზიაკინა, ზასლავსკაია, კალინინა მეორე, ლავროვი, ფედორი; ბ-ნნი დანილევსკი, ევლახოვი, კარყევინი, კარელინი, ლუტჩევი, როზანოვი, ულუხანოვი და სხ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: ორშაბათს წარმოდგენა ბებია-ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ—„პიკის მანდილოსანი“. 2 დეკემბერს ბენეფისი სარაჯიშვილისა „მარგალიტის მაძიებელნი“.

ერევნის მოედანი, სახ. გურგენოვისა, მირიმანოვის ყოფილი სადგომი, კავკასიის ამხანაგობის გვერდზე.

მთელი დეკემბრის განმავლობაში

გაიხსნება

◆ საშობაო ბაზარი ◆

დეკემბრის განმავლობაში მეტად იაფად გაიყიდება ყველა ის საქონელი, რომელიც რიგიანი სახისა ვერ გამოდგა; გაიყიდება აგრეთვე დარჩენილი ნაჭრები. ამასთან ვურჩევთ ყველას, მომავალ შობისა და ახალ წლის დღესასწაულისთვის მრავალი სასარგებლო ნივთები საჩუქრებისთვის შეიძინონ გროშის ფასად.

მუშტრის ყურადღებას მივაქცევთ იმას,

რომ საოცარი სიიაფეა ფასებისა.

მუსლინი და ფულიარი ფერადი, კარგი თვისებისა; არშინი 13 კ.-დან.

ბამბაზია ფერადი, საუკეთესო თვისებებისა, არშინი 17 კ.-დან.

შალეულობა სხვა და სხვანაირი, არშინი 55 კ.-დან.

ფლანელი ფასონისა და სადა, არშინი 65 კ.-დან.

მაუდის მატერია ქალის საკოსტიუმოდ, არშინი 75 კ.-დან.

მაუდი ქალისთვის სხვა და სხვა ფერისა, არშინი 1 მან.-დან.

დრაპი კაცისა და ქალის პალტოებისთვის, არშინი 2 მ. 25 კ.-დან.

ტრიკო საშარვლე, კუპონებად, არშინი 3 მან. 50 კ.-დან.

ტრიკო კაცის კოსტიუმებისთვის, კუპონი 4 არშინი და ერთი მეოთხედი არშ., 6 მან. 75 კ.-დან.

საბნები საზამთრო, აბრეშუმის ნაპენტისა, ცალი 3 მ. 50 კ.-დან.

თავშალი თივთიკისა პენზური და ორენბურგული, ცალი 85 კ.-დან.

საბნები საზაფხულო, ფერადი სუფრები, საცვალი, ფუფაიკა, ჩულქები და წინდები, ნაჭრები და სხვა.

(1—ნ.—1) **პ. დოროჟნოვი.**

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა ვრიგ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—ნ.—11)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—21)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ.—40)

ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საგოსპიტლო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—33.—9)

ფერშალი ლეონტი ი. ბარკალაია ყვავილს. იღებს ყელჭირვების, ხუ[illegible] და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველ[illegible] 3—6 საათამდე. გოგოლის ქუჩა N 68. (15—613—12)

ექიმი გ. ე. ხოჯაპარუხოვი ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიღება სიფილისით, სამარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—5)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ.; ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—80)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

სამკურნალო ქუთაისში ქირურგიული და დედათა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მოსალოგინებელ ოთახით **ექიმი ივ. ბოკერიასი** ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (6—14)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

სამკურნალო ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მოსალოგინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

ექიმი ივ. ბოკერია—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს.

რჩევა ათი შაური.

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—3)

ტფილისი, 30 ნოემბერი.

ჯერ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას არც კი გაუხსნია თავისი სათეატრო სეზონი და იმის გარშემო უკვე ხარბად გაისმის სხვა და სხვა მხრიდან წყრომის ხმა. გაზეთ „ტიფ. ლისტ.“-ს კალმოსნებს იერიში იერიშზე მიაქვს და მათის მაგალითით წაქეზებული ქართული გაზეთი „ალიც“ იჩხვლიტება. რა თქმა უნდა, დაგვიანებულ კრიტიკას ისევ წინასწარი სჯობია, მაგრამ ორსავე შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა, კრიტიკოსებს მარტო მახვილი კი არ ეჭიროთ ხელში, არამედ რაიმე საზომიც ჰქონდეთ საქმის ავ-კარგიანობის გამოსარკვევად. რადგან ქართულ სცენის საქმე უბინობის გამო რამდენსამე წელიწადს შეფერხებული იყო და ეხლა საზოგადოება დამაშვრალი შესცქერის დრამატიულ საზოგადოების მიერ განზრახულ წარმოდგენების სესიას, ამიტომ ქართულ სცენის საქმეებზე ლაპარაკს ამ ჟამად საკმაო გასავალი აქვს. ტფილისის პრესსამ საზოგადოების ცნობის მოყვარეობას ალღო კარგათ აუღო, მაგრამ, სამწუხაროდ, არა სჩანს, რომ ამ ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად პრესსა შესაფერ მასალას აძლევდეს მკითხველთა გონებას; არა სჩანს, რომ პრესსას ღრმად ჩაეხედოს ქართულ სცენის მდგომარეობაში და წვრილმან საქმეებს არ აებას იმისთვის თვალები.

დამდეგ სეზონის შესახებ ჯერჯერობით ჩვენ შემდეგი ცნობები გვაქვს: პიესების შესარჩევად და რეპერტუარის შესადგენად უკვე მრადენიმე თვეა დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან ერთად საგანგებო კომისია მუშაობს; რეპერტუარის შესავსებად კომისიის და გამგეობის დადგენილებით რამდენიმე ახალი პიესა უკვე გადმოითარგმა და ზოგიც ეხლა ითარგმნება; არჩეულ პიესების დასადგმელად იწერება საგანგებო დეკორაციები და იკერება საგანგებო ტანისამოსი; დეკორაციებიც და ტანისამოსიც მხატვრების პირდაპირის ხელმძღვანელობით მზადდება; დასი რამდენისამე თვით ადრე შეუდგა მზადებას; გამგეობას დიდი ყურადღება მიუქცევია თავიდანვე რეჟისორისათვის; მოწვეულ რეჟისორს ისეთი უხვი ჯამაგირი აქვს დანიშნული, რომ ასეთი ჯამაგირი არც ერთ წინანდელ ქართულ რეჟისსორს სიზმრადაც არ ჰქონდა ნანახი. ყველაფერი ეს ჰმოწმობს, რომ გამგეობას სრულიად განსაზღვრული გეგმა აქვს და არაფრის წინაშე არ ჩერდება ამ გეგმის ასასრულებლად. ცხადად სჩანს აგრეთვე, რომ სასცენო ხელოვნების ცენტრად ცნობილია არა ინდივიდუალურ ძალების დამატყვევებელი ნიჭი, არამედ ჰარმონია ანუ თანხმობა სცენის ყველა ელემენტისა.

რამდენად ნაყოფიერი გამოდგება გამგეობის გეგმა, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი სასაყვედურო ქართულ თეატრის ეხლანდელ გამგეებს არაფერი ეტყობათ. მართალია, ორი დამსახურებული და ნიჭიერი არტისტი ქართულის სცენისა, ნ. გაბუნია და კ. ყიფიანი, დასში არ არის მოწვეული, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ იმათი ნიჭი და სასცენო უნარი იმდენად ჩამოყალიბებულია, იმდენად დასრულებულია, რომ წარმოუდგენელი არ არის, ამ პატივცემულ არტისტებს თითონვე უძნელდებოდეთ შეუწონონ და შეუფარდონ თავიანთი სასცენო მოღვაწეობა მთელის დასის მოქმედებას. ჩვენის შეხედულობით, ზოგჯერ ერთი ნიჭიერი არტისტიც მთელს დასს უკარგავს მიმზიდველობას, რადგან თითონ მას არ შეუძლიან სხვა არტისტების თამაშობას შეუწყოს თავისი სასცენო უნარი და ამის გამო კი იგი, თავის ნიჭიერების მიუხედავად, მაინც არღვევს ეგრედ წოდებულ ანსამბლს. დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ორი ზემოხსენებული ნიჭიერი და პატივცემული არტისტი დასში არ მიუწვევია და, ვინ იცის, იქნება იგივე გამგეობა თითონ სხვებზე გაცილებით მეტად სწუხდეს ამ გარემოების გამო. ალბად პატივსადები მიზეზები დაუშლიდნენ მათს მოწვევას დასში; საზოგადოების ამხედრებას კი ეხლანდელ გამგეობის წინააღმდეგ ამ ნიადაგზე არავითარი აზრი არა აქვს, რადგან, როგორც ბ-ნი ყიფიანი, ისე ქ-ნი გაბუნია ქართულ სცენას მაინც მოწყვეტილნი არ არიან: გამგეობის დადგენილებით ამ არტისტებს დრო-გამოშვებით მიიწვევენ ცალკე წარმოდგენისთვის.

ჩვენის აზრით, როცა ქართულ თეატრის დასზე გვაქვს ლაპარაკი, სასტიკად უნდა განვაცალკევოთ ერთი-ერთმანეთისაგან დრამატიულ საზოგადოების გამგეობა, როგორც თეატრის ანტრეპრენიორი, და იგივე გამგეობა, როგორც სასცენო ხელოვნების და არტისტების მფარველი საქველმოქმედო დაწესებულება. გამგეობა, როგორც საქველმოქმედო დაწესებულების აღმასრულებელი ორგანო, უთუოდ უნდა ზრუნავდეს დამსახურებულ არტისტების ქონებრივ უზრუნველყოფისათვის, მაგრამ როგორც ანტრეპრენიორი კი მხოლოდ წარმოდგენების გალამაზებასა და გამშვენებაზე უნდა ფიქრობდეს. საქველმოქმედო მოსაზრებას არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეს, მაგალითად, დასის შედგენის საქმეში. დასში მხოლოდ ისეთი არტისტები უნდა მოიწვიონ ხოლმე, რომელნიც ემორჩილებიან სასცენო დისციპლინას, არ უკადრისობენ როლების დასწავლას, აპიროვნებენ სცენაზე არა ყოველთვის ერთსა და იმავე ტიპს, არამედ სხვა და სხვას, პიესის შინაარსის მიხედვით და სხვა. უამისოდ დასს არასოდეს მთლიანობა არ ექნება და ვერც წარმატების გზაზე დადგება. გამგეობა დრამატიულ საზოგადოებისა, როგორც ანტრეპრენიორი, ჩვენის ფიქრით არ უნდა შეიქნეს საქველმოქმედო მოსაზრებათა მსხვერპლად და სცენის განვითარების ინტერესები არ უნდა ანაცვალოს დამსახურებულ არტისტების უზრუნველყოფის ინტერესს. თუ რაიმე სახსარი გაჩნდა, დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ან პენსიას უნდა უნიშნავდეს დამსახურებულ არტისტებს და ან ერთდროულ დახმარებას უნდა აძლევდეს. დასის წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად კი დამსახურებულ არტისტების უზრუნველყოფა არაფრის გულისთვის არ უნდა გადაიქცეს. რა თქმა უნდა, ძნელია, ერთმა ორგანომ ანტრეპრენიორის როლიც აასრულოს ქველმოქმედისაც. სწორედ ამიტომ ჩვენ უმჯობესად მიგვაჩნია, დრამატიული საზოგადოება სრულებით თავს დაანებებდეს ანტრეპრიზას და ამ საქმეს კერძო ინიციატივას მიანაბარებდეს, მაგრამ რაკი ერთი მოსჭიდებს იგი ხელს ანტრეპრენიორობას, მას ბოლომდე უნდა ახსოვდეს, რომ ანტრეპრიზა და ქველმოქმედება არსებითად სხვა და სხვაა. რატომ იწვევს ანტრეპრენიორი ზოგ არტისტებს თავის დასში და ზოგს კი არა, ამაზე, რასაკვირველია, საზოგადოებას და პრესსას ყოველთვის უფლება აქვს თავისი აზრი გამოსთქვას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოირკვევა, რომ რომელიმე არტისტის მოწვევა ან მიუწვევლობა ჰვნებს წარმოდგენებს, უკარგავს ლაზათს და აუშნოვებს. ჯერ-ჯერობით დრამატიულ საზოგადოების ახალს დასს არც ერთი წარმოდგენა არ გაუმართავს, არც არავინ იცის, რამდენად დაეტყობა მას ის გარემოება, რომ ბ-ნი ყიფიანი და ქ-ნი ცაგარელი მიწვეულნი არ არიან დასში; ამიტომ ნაადრევად მიგვაჩნია ის კომპანიაც, რომელიც „ტ. ლ.“-მა დაიწყო მომავალ ქართულ სეზონის წინააღმდეგ და რომელსაც ბანს აძლევს „ალი“. მოითმინეთ, ნახეთ ჯერ, რა გვარ წარმოდგენებით გაგვიმასპინძლდება გამგეობა თავის დასით და შემდეგ დასდეთ წუნი, რაც დასაწუნი ჰნახოთ. თორემ რასა ჰგავს, რომ დაწუნების ჟინით გატაცებულნი დეკორაციების დამზადებასაც კი აყვედრით გამგეობას! აი, თუ გამგეობის მოქმედების გეგმა არ მოგწონთ, ამაზე ბრძანეთ. ჩვენის მხრივ კი ჯერ მხოლოდ ის შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეხლანდელ გამგეობას დიდი მეცადინეობა ეტყობა, რისთვისაც იგი, რა თქმა უნდა, გაკიცხვის ღირსი არ არის.

ექიმი კბილისა ქუთაისში მ. ი. ბებიშვილი იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—16)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—38)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

კალამქაროვი—საშ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგ. ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ.ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—83)

„ტფილისის სობრანიე“

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს და კანდიდატებს, რომ ვადა ბილეთების განსაახლებლად მომავალ 1909 წლისათვის თავდება 1908 წლის 15 დეკემბერს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მამასახლისთა საბჭო იხელმძღვანელებს „სობრანიეს“ წესდების მე-15 პარაგრაფით. (2—637—2)

!!!წაიკითხეთ!!!

ქუთაისში, ალექსანდრე კოსტავას მაღაზიაში, თბილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქის გვერდით:

ეს-ეს არის მივიღეთ ყოველ გვარი **შეკერილი ევროპიული ტანისამოსი** და თეთრეული კაცებისათვის და აგრეთვე რუსული და საზღვარ-გარეთული მატერიები კაცის სატანისამოსოთ, რომელსაც ვყიდით არშინობით და ვკისრულობთ შეკერვასაც.

ფასები ძლიერ დაკლებულია

(7—ფ—5)

აკაკის იუბილეი

ქუთაისი. ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა თავის მხრივ აკაკის საიუბილეო დღესასწაულებზე დასასწრებლად ჰგზავნის გამგეობის წევრს გრ. აბაკელიას.

სამასწავლებლო ოლქის მზრუნველმა ნება-დართო ქუთაისის მთავრობის სასწავლებლებს, მონაწილეობა მიიღონ აკაკის დღესასწაულებში ქუთაისში. რეალურ სასწავლებლებსა და გიმნაზიაში 7 დეკემბრისათვის განზრახულია სალიტერატურო დილა.

სომეხთა ეკლესიის წინამძღვარმა აცნობა აკაკის საიუბილეო დღესასწაულის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ გადასწყვიტა, მონაწილეობა მიიღოს საიუბილეო დღესასწაულში.

—

მესაზანდრენი. აკაკის საიუბილეო კომიტეტმა სხვათა შორის მიიღო განცხადება მესაზანდრეთა წარმომადგენლების პეტრუს დადაიანცისა და გიგო სტეფანოვისაგან. ამათ სურთ, პატივი სცენ აკაკის და სცენაზე საზანდარი დაუკრან. მათ სთქვეს, აკაკის კარგად ვიცნობთ, რადგან იმის ლექსებს ხშირად ვმღერითო.

—

სიმბოლიური სურათი. ბაქოს წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა „კალამი“ აბეჭდინებს ფერადის წამლებით დახატულ, სიმბოლიურ სურათს აკაკის იუბილეისთვის. სურათი დაუხატვინებიათ ცნობილ მხატვარ-აკვარელისტ გ. ფ. გრინევსკისთვის. ორიგინალურ შინაარსით და ხელოვნებით ჯეროვან შთაბეჭდილებას ახდენს. ასლს ამ მხატვრობისას შესაფერ ჩარჩოთი ამხ. „კალამი“ მიართმევს იუბილიარს და პირი (კოპიო) გამოვა გასასყიდად. ეს გამოცემა ამხანაგობას უჯდება 600 მანეთამდის.

ამხანაგობას ეგრეთვე აზრათა აქვს გამოსცეს დასურათებული საიუბილეო კრებული დღესასწაულების გათავების შემდეგ.

—

ხელოსანთა საყურადღებოდ. 28 ნოემბერს მეჩექმე ხელოსანთა მცირე ჯგუფმა, ალექსანდრე ნასყიდოვის თავმჯდომარეობით მსჯელობა იქონია აკაკის იუბილეის შესახებ. ჯგუფმა აირჩია ოთხი კაცი—ალექსანდრე ნადიროვი, იოსებ გარსევანიშვილი, იოსებ კალანდაძე და ბ—შვილი. იქვე შეაგროვეს თხუთმეტ მანეთამდე.

ვთხოვთ ყოველ მეჩექმე ხელოსანს, ნუ დაიშურებს თავის მცირე წვლილს. როგორც ვიცით, 65 ამქარია ტფილისში. რას აპირებს ეს ზღვა ხალხი. მარტო დროშებითა და დაფა-ზურნით ხომ არ უნდა ვამცნოთ ქვეყანას, რომ ჩვენც აქა ვართო. დღევანდელი დღე სწავლა-

ცოდნას თხოულობს და განათლება და ცოდნა კი ფულს. ამიტომ [illegible]ურავის დაი[illegible] ას ორიოდე გროშს.

ერთი ხელოსანთაგანი.

სახელმწიფო სათათბირო

პორტო-ფრანკოს გაუქმება

თითქმის მთელი მე-21 სხდომა სათათბირომ მოანდომა ვლადივოსტოკის პორტო-ფრანკოს გაუქმების საკითხს. კომისიის აზრის მომხსენებელი **შემმინცევი** მხარს უჭერს მთავრობის წინადადებას ვლადივოსტოკში პორტო-ფრანკოს გაუქმების შესახებ, რადგან უცხოეთიდან უბაჟოდ საქონლის მოზიდვა ხელს უშლის ადგილობრივ რუს მრეწველ-კაპიტალისტებს მრეწველობა ააღორძინონ. ოპოზიციიდან პროექტის წინააღმდეგ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა **ნეკრასოვმა**, რომელიც ამტკიცებდა, რომ პორტო-ფრანკოს გაუქმება იმ შორეულს ქვეყანაში, სადაც ჯერ არაფერი არაა, არც მრეწველობა და არც მიწათმოქმედება, გასაჭირში ჩააგდებს მშრომელ ხალხს, წვრილ ვაჭარ და მრეწველთ და მხოლოდ ერთ მუჭ კაპიტალისტებისთვის იქნება სა[illegible]რთო.

კამათის შემდეგ სათათბიროს უმრავლესობამ (მემარჯვენეებმა და ოქტომბრისტებმა კადეტებისა და სხვა მარცხენეთა წინააღმდეგ) მოიწონეს მთავრობის წინადადება და შეუდგნენ პროექტის მუხლ-მუხლად განხილვას.

საკითხი ებრაელთა შესახებ

იმავე სხდომაზე სათათბიროს წარუდგინა 32 მემარჯვენეთა განცხადება შინ. საქ. სამინისტროსადმი შეკითხვის შესახებ. მემარჯვენეთა ფრაქცია არაკანონიერად სთვლის სამინისტროს ცირკულიარულ განკარგულებას, რომლით გაფართოებულ იქმნა რუსეთში ებრაელთა საცხოვრებელი საზღვრები. მემარჯვენენი თხოულობენ შეკითხვის დაჩქარებას.

გეგეჭკორი ამბობს, რომ ეს შეკითხვა ებრაელების პირდაპირი და ბოროტი დაცინვაა და ბრალსა სდებს მთავრობას (თავმჯდომარე შენიშნავს: „[illegible] ინებეთ და მარტო შეკითხვის დაჩქარებაზე ილაპარაკეთ“.) გეგეჭკორი განაგრძობს: „იმის თქმა, ვითომ მთავრობა არა-კანონიერად იქცევა ებრაელთა საკითხში,—ის მთავრობა, რომელიც უმოწყალოდ სდევნის ებრაელთ, სხვა არა არის რა, როგორც ბოროტი დაცინვა. სხვა არა დაგვრჩენია რა, რომ რუსეთის ხალხისა და ევროპის წინაშე (დიდი ხმაურობა მარჯვნით) პროტესტი გამოვაცხადოთ ასეთ დაცინვის წინააღმდეგ და ვთქვათ, რომ არის საზღვარი, რომელს კაცი ვერ გადასცდება, თუ იგი ადამიანია“. (პურიშკევიჩი თავის ადგილიდან ყვირის: სისულელეაო). გეგეჭკორი განაგრძობს: „წინადადებას ვიძლევით, დაუყონებლივ იქმნას განხილული შეკითხვა, რათა უარვყოთ იგი, როგორც სამარცხვინო და კაცთმოძულეობის დამამტკიცებელი აქტი“ (ტაშისცემა მარცხნით, საშინელი ხმაურობა მარჯვნით).

თავ. ტენიშევი: შეკითხვა დღესაა გამოცხადებული, არა-კანონიერი მოქმედება-კი, რომელსაც აღნიშნავენ ინიციატორები, შეეხება მთავრობის განკარგულებას 1907 წლის. თუ-კი ერთ წელიწადზე მეტი ითმინეს, დღეს რადა ეჩქარებათ. საჭიროა, კომისიაში გადავცეთ შეკითხვა.

მარკოვი მე-2: აქ დაჩქარების წინააღმდეგია ცენტრის წარმომადგენელი. საკვირველია მისი საბუთი. მაშ თუ რაიმე ბოროტმოქმედების ამბავი ერთის წლის შემდეგ გავიგეთ, უნდა გავჩუმდეთ? ჩვენი შეკითხვა აღნიშნავს ცირკულიარის უკანონობას, რადგან იგი არსებულ კანონს აუქმებს. მთავრობის განკარგულების წყალობით, ჩვენი ქალაქები აივსო ებრაელებით, რომელნიც, როგორც უფრო მოხერხებულნი და ნიჭიერნი, ავიწროებენ რუს ხელოსანთა და ვაჭრებს. ეს მავნებელი, ჩვენის შეხედულებით, ბოროტმოქმედება კანონის წინააღმდეგი განკარგულებით არის ჩადენილი (თავმჯდომარე აჩერებს ორატორს, მთავრობის ბოროტმოქმედებაზე ლაპარაკი როგორ შეიძლებაო). მარკოვი განაგრძობს: „მთავრობის ბოროტმოქმედება“... თავმჯდომარე ისევ შენიშვნას აძლევს. პურიშკევიჩი თავის ადგილიდან ყვირის: „ნიკოლაი ალექსეევიჩ, დამშვიდდით“. თავმჯდომარე უპასუხებს: „უმორჩილესად გთხოვთ ჩემთვის ნუ სწუხდებით, თორემ თქვენ თითონ მოგიხდებათ შეწუხება (ხელს მიუშვერს კარზე)“. მარკოვი მე-2 განაგრძობს: რუსის ხალხის ინტერესებისათვის ვითხოვ შეკითხვა დაჩქარებით იქმნას განხილული, თორემ ხალხი მოთმინებას დაკარგავს (ხმა მარცხნიდან: ეგ „პოგრომს“ იწვევს). რუსის ხალხის ინტერესი მოითხოვს მთავრობის ხსენებულ განკარგულების გაუქმებას, თუ ამას სათათბირო არ მოახდენს, დარწმუნებულნი ვართ, ხელმწიფე გაიგონებს ჩვენს მუდარას (ტაშისცემა მარჯვნით).

ბულატი ტრუდოვიკების მხრით მხარს უჭერს შეკითხვის დაჩქარების საქმეს, მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ სასირცხო შეკითხვა მემარჯვეთა უარყოფილ იქნება.

სათათბიროს უმრავლესობამ (ს.-დ. და ტრუდ. მემარჯვენეთა წინააღმდეგ) უარჰყო შეკითხვის დაჩქარების მოთხოვნა და გადასცა იგი კომისიას.

სასამართლო

ილია ჭავჭავაძის მოკვლა.

1907 წელს, 30 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ, სოფლებ წიწამურსა და საგურამოს შუა, გზაზე, მოჰკლეს პოეტი ილია ჭავჭავაძე. თოფის კონდახებით სცემეს მის მეუღლეს ოლღა ჭავჭავაძისას და მოჰკლეს აგრეთვე ჭავჭავაძის მსახური იაკობ ბითარაშვილი. მკვლელობის ადგილი 2 ვერსით არის დაშორებული სოფ. წიწამურს და 4 ვერსით სოფ. საგურამოს. აღნიშნული ადგილი წარმოადგენს ზედაზნის მონასტრის მთის ფერდობს და დაფარულია ბუჩქნარით. აი აქ ამ ბუჩქნარში 30 აგვისტოს ჩაესაფრნენ მკვლელები გზად მიმავალ მგოსანს. დაუშინეს თოფები და წუთი-სოფელს გამოასალმეს. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გარჩევას კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო შეუდგა 28 ნოემბერს, დილის 10 ნახევარ საათზე სხდომის გახსნისას თავმჯდომარემ მოიკითხა მოწმენი. 25-მდე მოწმიდან სამ-ოთხი არ გამოცხადდა. წაიკითხეს საბრალმდებლო ოქმი.

როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, გამომძიებლის მოწვევით, ექიმს გაუსინჯავს მოკლული ილია ჭავჭავაძე, იაკობ ბითარაშვილი და ძალზე ნაცემი 60 წლის მოხუცი ოლღა ჭავჭავაძისა. ჭავჭავაძეს გულში ჰქონია მოხვედრილი ერთი ტყვია, რომელიც ზურგში გავარდნილა; მეორე ტყვია მოჰხვედრია ფერდში, პირველ ტყვიის ცოტა ქვემოდ. შუბლის მარცხენა მხარეს აღმოაჩნდა ჭრილობა. შუბლის ძვალიც ჩატეხილი ჰქონდა. მარჯვენა წარბს ზემოდ მეორე ჭრილობა ჰქონდა. ტყვიისაგან მეხუთე ნეკნი ჩამტვრეული იყო. ტყვიას გაუვლია გულში, ქვედა-ნაწილი მარცხენა ფილტვისა და გასულა მარცხენა იღლიაში. კნ. ოლღა ჭავჭავაძისას თავზე აღმოაჩნდა რამდენიმე ჭრილობა. როგორც ეტყობოდა, რაღაც ჩლუნგი იარაღი დაერტყათ. იაკობ ბითარაშვილს რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა აღმოაჩნდა—ლოყასა, გულსა, ზექსა, ყელსა და გვერდში.

როგორც საბრალმდებლო ოქმშია აღნიშნული, განსვენებულ ილიას 29 აგვისტოს უცნობებია საგურამოში მყოფ თავის ნათესავ თავ. ზაალ ჭავჭავაძისათვის, ხვალ, 30 აგვისტოს, სადილად მანდ ვიქნებიო. მკვლელობის დღეს, დილის 11 ნახევარ საათზე, საგურამოდან წიწამურში [illegible]ლის ასაღებად წასულა თურმე მოურავი დიმიტრი ჯაში. მას თან ახლდა ურიადნიკი ვასილ ემცი და ორი სტრაჟნიკი. როცა ამათ ოთხი ვერსი გაუვლიათ, გზაზე დაუნახავთ ეტლი, რომელიც ილიას ეტლად უცვნიათ. როცა მისულან, ბუჩქებიდან გამოსულა მეეტლე თედო ლაბაური და უთქვამს, ბოროტ-მოქმედებმა ილია ჭავჭავაძე მოჰკლესო. დ. ჯაშს და დარაჯებს უნახავთ ეტლი მარჯვნით მიბრუნებული. იქვე გზაზე უნახავთ ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე. ორივე თავპირ ჩამოსისხლიანებული. შეუნიშნავთ, რომ ოლღა თადეოსის ასული ცოცხალი იყო. ეტლის გარეშემო უნახავთ ორი საზამთრო. გაზეთების რამდენიმე ნომერი და ერთი წიგნი „ვესტნიკ ინოსტრანნოი ლიტერატურის“. ეტლში აღმოჩენილა პატარა ტიკჭორა ღვინით. სხვა ნივთები—საათი, ქუდი, პიჯაკი, მოსახურავი, ოქროს სათვალეები, ოქროს „ზაპონკები“, ქინძის თავი გალსტუკისა—[illegible]. ჯიბეში ცოლ ქმარს ამოქქილი ჰქონია.

თედო ლაბაურს იქვე უთქვამს: ტყიდან გამოვარდა ოთხი კაცი. დაგვიძახეს—შეჩერდითო. ილიას ბრძანებით, ცხენები გავაქანე მაგრამ წინ დაგვიხვდა ერთი ბოროტ გამზრახველთაგანი, რომელიც მომვარდა მე, მკრა ზურგში თოფის კონდახი და კოფოდან ძირს ჩამომაგდო. ამის შემდეგ ბუჩქებში შევვარდი და აღარ მინახავს, რა მოხდა, მესმოდა მხოლოდ თოფების სროლა. შევნიშნეკი, რომ მკვლელნი თეთრსა და რუხ პაგონებიან კიტელებში იყვნენ გამოწყობილნი. შეიარაღებულნი იყვნენ ბერდანის თოფებით. იმ დროს, როცა მე ჩამოვვარდი მსახური იაკობიც გადმოხტა ეტლიდან. რევოლვერის სროლა ასტეხა და თანდათან ბუჩქებისაკენ გაიქცაო.

როცა ურიადნიკს ემცს გაუგია, რომ მკვლელობა ნახევარი საათის წინ მომხდარა და ისიც, რომ მკვლელნი წიწამურისაკენ წასულან, ერთის დარაჯით დასდევნებიან, მაგრამ მალე უკანვე დაბრუნებულა. დაჭრილნი და მოკლულნი საგურამოში აუსვენებიათ. კნ. ოლღა დიდს ხანს უგრძნობლად ყოფილა და როცა გამორკვეულა, უთქვამს: ძლიერი ქარი ჰქროდა, ამის გამო თავ-პირი შეხვეული მქონდა და არ ვიცი, რა მოხდაო.

გამოძიებას შესდგომია მცხეთის ბოქაული გრიცუნასი. როდესაც ლაბაურისაგან გაუგია, თოფის კონდახი დამარტყეს და გადმომაგდესო, გაუსინჯნია იგი, მაგრამ არავითარი ნიშანი არ აღმოსჩენია. მოწმეს თავ. ზაალ ჭავჭავაძეს განუცხადებია: 26 აგვისტოს მოურავმა მაცნობა, რომ მოსამსახურენი გაიფიცნენო. გამოირკვა, რომ ისინი კმაყოფილნი არ იყვნენ ხორცით. რადგან ხორცი კარგი აღმოჩენილა, ილია ჭავჭავაძეს უთქვამს მოურავისათვის, უკმაყოფილონი დაითხოვეო. შემდეგ გამორკვეულა, რომ მოსამსახურეებს [illegible] დაუწუნებიათ: [illegible] რომ ცოტა გვეძლევაო. ამის შემდეგ ჭავჭავაძეს უპატიებია ყველასათვის და, მათ შორის, თედო ლაბაურისათვისაც. მეორე დღეს თვით თედო ლაბაურს წაუყვანია ილია ჭავჭავაძე ეტლით ტფილისში. იმავე მოწმეს თავ. ზაალ ჭავჭავაძეს განუცხადებია: ვერავითარს კავშირს ვერა ვჰხედავ ილია ჭავჭავაძისა და მის მოურავის მემანიშვილის მკვლელობის შორისაო. მემანიშვილის მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს იმ პირზე, რომელსაც ქურდობისათვის სდევნიდა მოურავი. მოურავმა ქურდობისთვის იგი დააპატიმრებინა, მაგრამ გზაზე დარაჯებს გაექცა. ამის შემდეგ გავიდა დიდი დრო და თავს დაეცნენ ჭავჭავაძის სახლს, მოჰკლეს მოურავი და გაცარცვეს სახლიო. ილია ჭავჭავაძის მოკვლის ერთი კვირის წინად, უთქვამს იმავე თავ. ზაალ ჭავჭავაძეს, მივიდა მამა გაქცეულ პავლე ფშავლიშვილისა; როდესაც ილიამ ეს გაიგო, სთქვა, გადაეცით მამას, რომ თუ იგი შვილის განთავისუფლებლად მოვიდა, ტყუილად გარჯილა, რადგან მე ვერ ვიშუამდგომლებ ქურდის განთავისუფლებლად, ხოლო თუ სხვა საქმეზე—მოვიდესო.

პირველად გამომძიებელს მეეტლე ლაბაურისთვის წაუვლია ხელი, მაგრამ მას თავი დამნაშავედ არ უცვნია და განუცხადებია: მკვლელობის დღეს ტყიდან ოთხი კაცი გამოვარდა და შემოგვძახა—„შეჩერდითო“. ყველანი შეხედულებით სომხებსა ჰგავდნენ. ტანზე ეცვათ თეთრი პოგონიანი ოფიცრის კიტელები და თავზე ეხურათ თეთრი ბუხრის ქუდები. ცხენები გავაქანე, მაგრამ ერთი კაცი წინ გადაგვეღობა, მტაცა ხელი, გადმომათრია ეტლიდან და თან თოფის კონდახი ჩამკრა გვერდში. ამ დროს იაკობიც ჩამოხტა და მარცხნივ გადაირბინა გზაზე და ჩირგვნარში ჩაეშო. ბოროტმოქმედებმა მარცხნიდან მოგვიარეს, ერთი იაკობს გამოეკიდა, მეორემ ბერდანა ესროლა

ფელეტონი

* * *

(ლექსი ქრ. ბოტევისა) *)

[illegible]ცი არ კვდება, ვინც თავი თვისი
მსხვერპლად შესწირა თავისუფლებას;
მას ულერსებს თითონ ბუნება,
მას უგალობენ ქებათა-ქებას!..

სამშობლოს მიწა, ცა და სამყარო
იმას ღიმილით ეაკვანება,
დღისით უგრილებს დედა-არწივი,
ღამით მნათობი ეთაყვანება!..

[illegible]ვით ონავარი, მგელ-მტაცებელი
მას წყლულს ულოკავს, მშვიდათ მსახურებს;
და შევარდენი თავისუფალი,
ვით ძმას დარაჯობს, თავზე დაჰყურებს!..

საღამოს ჟამსა, როს დაჰკრავს სიო,
ტყე შეირხევა გოლიათურად,
[illegible]რის კაშკაშზე ბუმბერაზ მთები
რომ ლაპლაპებენ თავისებურად;

[illegible]ს ვარსკვლავთ გუნდი აბამს ფერხულსა
ლაღად, ამაყად, თავის ნებაზე,—
ყველა აღსდგება თავისუფლების
[illegible] ხმების გაგონებაზე!..

[illegible]თვით ქალწულნი, თეთრად ჩაცმულნი,
[illegible]ლოს გმირსა, კეთილის მყოფელს,
ნაზად, ნარნარად ულიმღებიან
და მიუძღვნიან ტკბილ საგალობელს!..

[illegible]თის სამკურნალო მოაქვს ბალახი,
[illegible] ზის აქვე თავითა,
[illegible] ჰკოცნის ტკბილად ტუჩებში
[illegible]ზებს თმა-ნაწნავითა!..

ღ. თომაშვილი.

ფრინველი და ადამიანი

ოქტავ მირბოსი

ჩემი ქოხიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე, საფრანგეთის ერთ საუკეთესო და მდიდარ კუთხეში, მდებარეობდა უზარმაზარი მამული. სულ ათიოდე წელიწადი ეკუთვნოდა ეს მამული ბანკირს. იგი სანადირო ადგილად გადაექცია. კოშკი სულ ერთიან გაენადგურებინათ პირველ რევოლიუციის დროს. კოშკს ჭერი აღარა ჰქონდა. დარჩენილიყო მხოლოდ რამდენიმე კედელი, ხავსითა და მაღალი ბალახით შემოსილი. ბანკირს უნდოდა აღედგინა ეს კოშკი ძველ გეგმაზე, მაგრამ მერე ამ აზრს თავი გაანება, რადგან დაინახა, რომ დიდი ხარჯი იყო საჭირო.

ბანკირს მეორე, ისტორიული მამული ჰქონდა პარიზის მახლობლად და ეს სავსებით აკმაყოფილებდა იმის სიამაყეს.

ეს მეორე მამული ახალმა მფლობელმა საგრძნობლად გააფართოვა. შეისყიდა მახლობლად მდებარე მინდვრები, ფერმები, ტყეები, შემოფარგლა და მიუდგომელ ადგილად გადააქცია, სადაც იგი ერთად-ერთი ბატონი და მბრძანებელი იყო, ამასთან სასტიკი და დაუნდობელი ბატონი. გლეხები, რომელთაც ბანკირის ოქრო ასე ჰხიბლავდა, თან და თან უთმობდნენ თავიანთ მიწას და თითონ სამუშაოსთვის სხვაგან მიდიოდნენ. დარჩნენ მარტო მოხუცნი, ტყის მჭრელნი და მათხოვარნი...

ეხლაც მახსოვს ამ ადგილის მინდვრები, ჯეჯილით შემოსილი, მშვენიერი საძოვრები, ფერმები, საიდანაც ისმოდა მუშა ხალხის სიმღერა. როგორ შეიცვალა დღეს ყველაფერი! თითქოს ავმა ქარმა გადაუარა და თვალის დახამხამებაზე გაანადგურაო ეს სიმდიდრე ნიადაგისა, გაცხო[illegible] ძლიერი მოსავალი [illegible]. გზის მარჯვენივ და მარცხნივ, ტყის პირამდე, მინდვრებში რიგზე ჩამწკრივებული იყო წითელი ხეები. აქა-იქ დათესილი იყო უგრეხელა და იონჯა, რომლითაც არავინ სარგებლობდა და იქვე ლპებოდა. ადგილს შემოვლებული ჰქონდა რკინის მართული ზევით აშვერილ წვეტიან წვერებით, რის გამოც მამულში შესვლა არავის შეეძლო. ეს ადგილი ხოხბების საბრძანებელი იყო. აქ ყველაფერი ხოხბისთვის ენაცვლებინათ, ყველაფერი იმის ფეხთა მტვრად გადაექციათ; ხოხობი აქ სათაყვანებელი, სალოცავი ფრინველი იყო, ნახევარ-ღმერთი, რომელსაც აჭმევდნენ მინდვრის საუკეთესო, სურნელოვან ხილს და ძვირფასს მარცვლებს, უვლიდნენ ფხიზელი და ერთგული მსახურნი, როგორც ძველ ეგვიპტეში ქურუმები უვლიდნენ სამღვთო ფრინველებს. ხავსიან ფერმების ნაცვლად მოსჩანდა დიდი ეზოები ხოხბებისთვის და კოხტა კოშკები. სასტიკი და მიუკარებელი წვეტიანი მავთული გაჭიმულიყო იქ, სადაც წინად ღობეები იყო და არე მარეს მაღალი ხეები ამშვენებდა. აქა-იქ მოსჩანდა ყარაულების სადგომები.

გზა-კვალ დაბნეული ღარიბ-ღატაკნი და თავშესაფრის მაძიებელი მაწანწალები აქ გავლისას სცდილობენ, რაც შეიძლება, მალე გასცილდნენ ამ ადგილს. აქ ისინი ვერსად დაისვენებენ, პურს მათ არავინ აჭმევს. გზის ორივე მხარეს გაჭიმებული არხებიც-კი მტრულის თვალით უყურებენ მათ. თუ შემთხვევით მოხეტიალე მეწვრილმანე შეჩერდა აქ—დარაჯები იმ წამსვე ეტუზებიან. ვერც კი მოასწრობს თავის ძვალ-ტყავად ქცეულ ცხენის გამოშვებას და ფოთლებისაგან ცეცხლის დანთებას კართოფილის მოსახარშად, რომ დარაჯი შეუტევს:

— აქ რას აკეთებ, მაწანწალავ?! წადი, გაეთრიე აქედან!

— ეს ხომ გზაა? გზა ყველასია...

— ეს ტოტები, რომლითაც ცეცხლი დაგინთია? ესეც ყველასია? აბა, აიბარგე, გასწი, თორემ მე ვიცი, რა დღესაც დაგაყრი!..

ხშირად ასეთ ლაპარაკის დროს ხოხობი ფრთების ხმაურობით შეჰყურებს მათ და თითქო დაცინვის ღიმილიც ეტყობა სახეზეო.

მავთულებს შიგნით, ყოველ კუთხეში ეს სალოცავი ფრინველები მოსჩანან. დარბიან ჯგუფ-ჯგუფად ხეების ჩრდილ ქვეშ, დაფრინავენ, ამაყად გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე. ყველგან ხოხობი გეჩხირება თვალში. საითაც გაიხედავთ, იმის მეტს ვერას დაინახავთ.

გზის მხარეს თოფებ გადაკიდებულნი სდგანან სასტიკი დარაჯები. თვალ-ყურს ადევნებენ, რომ გლეხებმა გავლის დროს ჯოხით არ მოკლან ხოხობი. ბოლოს ყოველივე ეს გაბეზრდებათ, გბეზრდებათ ეს ერთგვარ ტანისამოსში გამოწყობილი, ველური სახის დარაჯები, მათი თოფები, რომელნიც მზეზე ბრჭყვიალებენ, ეს გადაჭიმული ცარიელი ადგილები. გეგონებათ, მტრის ბანაკში, დაპყრობილ და განადგურებულ ქვეყანაში შევედიო.

ცხელოდა. დიდ ხანს დავდიოდი და მომწყურდა. გავჩერდი პატარა ქოხის წინ, რომელიც, თითქო დამფრთხალი ჩიტიაო, გზის პირას მიყუჩულიყო. ოთახში კაცი იჯდა და შავ პურსა სჭამდა. ჩემ შესვლაზე არც-კი შენძრეულა. იატაკზე ძონძებში გახვეული ბავშვები დაცოცავდნენ. კედელზე თოფი ეკიდა. ჩემ დანახვაზე ერთმა ბავშვმა ტირილი მორთო. მაშინ სიბნელიდან გამოვიდა დედაკაცი, რომელიც წინად ვერ შევამჩნიე. ძალზე გამხდარი და მახინჯი იყო, თითქო სილატაკის აჩრდილიაო. იმის თვალებიდან სიძულილი გამოკრთოდა. რამდენსამე წამს თვალით მზომავდა, შემდეგ მხრები აიწია და სთქვა:

— რძე განებავთ? რძესა კითხულობთ? აქ რძე არ არის. რძისთვის ძროხაა საჭირო და აბა გაიხედეთ: აქ მარტო ხოხბებია!..

და გაბრაზებულის თვალებით გადაჰხედა მიდამოს, წითელ ხეებს, სადაც ჩრდილში დანავარდობდნენ ბედნიერი ფრთოსანნი, რომელთა წყალობითაც ამ დედა-კაცს აღარ გააჩნდა აღარც ძროხა და აღარც მიწა.

კაცი ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა. თავი ჩაეღუნა. წელში მოკაკული და ნიდაყვებით მუხლებზე დაბჯენილი, იგი ჭამას განაგრძობდა.

მიწის იატაკზე ხმაურობდნენ ძონძებში გახვეული ბავშვები. ყველგან სილატაკე მოსჩანდა.

— გეტყობათ, მეგობრებო, გაჭირვებულნი ხართ.—ჩავილაპარაკე მე და თან ბავშვებს წვრილი ფული მივაწოდე:—რატომ არ წახვალთ ამ ადგილებიდან? ყველანი წასულან...

— მერე, სად უნდა წავიდეთ!—მკითხა დედაკაცმა.

— არ ვიცი სულ ერთია, სადაც წახვალთ... აქ ხომ სამუშაო არა გაქვთ?

— წინად ჩემი ქმარი ხეების ტოტებსა სჭრიდა კოშკისთვის... მაგრამ გააგდეს მაგ საძაგლებმა: ღამღამ ხოხბებსა ხოცავო, გამოუცხადეს... ეგ საზიზღრები, ეგენი! სამჯერ დაიჭირეს და რვა დღე ციხე მიუსაჯეს... გუშინ წინ გამოვიდა ციხიდან...

— გაჩუმდი!—უთხრა ქმარმა და ჩემსკენ მოიხედა. შიშისა და უნდობლობის ბეჭედი ესო იმის სახეს.

— რათ უნდა გავჩუმდე!

— გაჩუმდი-მეთქი! — დაუყვირა ეხლა ქმარმა.

ამ დროს კარებში დარაჯი გამოჩნდა. დედაკაცი მივარდა ახლად მოსულს და გზა გადაუღობა. სიბრაზისაგან კანკალებდა.

— რა გინდა აქ? არ შემოგიშვებ!.. გაეთრიე აქედან!

დარაჯმა სცადა შემოსვლა. დედაკაცმა შეჰყვირა:

— ხელი არ მახლო, მკვლელო! ხელი არ მახლო, თორემ ინანებ!

— მოტტო აქ არის!

— ეგ შენი საქმე არ არის.

— აქ არის თუ არა მოტტო?

— რაში დაგჭირდა მოტტო?

— დღეს დილით ვაუბლანშის მახლობლად კიდევა ვნახე ხოხბის ბუმბული... მიწაზედაც მოტტოს კვალს მოვკარი თვალი.

— სტყუი!

— მე ვტყუი?

— ჰო, შენ სტყუი!

— გარწმუნებთ, არა ვტყუი... გადაეცი, რომ ფრთხილად [illegible] თორემ თუ დაიჭირეს, ცუდად იქნება საქმე...

მოტტო ფეხზე წამოდგა და კარებისკენ წავიდა.

— კარგია, გაჩუმდი! — უთხრა ცოლს. მერე დარაჯს მიჰმართა:

— სცდები, ბერნარ... მე არაფერი მაგისთანა არ ჩამიდენია... მეყოფა შენი ციხე. წუხელ ავად ვიყავ, მაცხელებდა...

— მე ვთქვი, რაც სათქმელი მქონდა... აა, თოფიც გქონია! შენ ხომ წაგართვეს თოფი?

— ეს თოფი...

— დიაღ, ეგ თოფი...

— ეს რაა, ძველი თოფია, არც კი ისვრის... ეგ შენი ხოხბებისის არ არის...

დარაჯმა და მოტტომ ერთმანეთს სიძულილისა და მუქარის თვალი გაავლეს. დარაჯმა მე შემომხედა, მერე მიტრიალდა და წავიდა, თან გაიმეორა:

— მე ვთქვი, რაც სათქმელი მქონდა...

მოტტო ხელ-ახლა ჩამოჯდა სკამზე მწარე ფიქრებში გართული, შესცქეროდა იგი თოფს, რომლის ჟანგიანი ლულაც მოწყენილი გამოიყურებოდა, თითქოს ელოდა შურის ძიების ღამეს, რომ თავისი ვალი ესრულებინა...

---

*) [illegible] ბოლგართა საყვარელი [illegible]. იგი 27 წლისა მოჰკლეს ოსმა[illegible] 1876 წ. მისი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტლში მჯდომ ილიას, რომელიც მაშინვე გადმოვარდა. კნეინა ეტლში დარ[illegible] შინდა, ცხენებს არ გაეჭაცნა ისინი, მოუარე და აღვირით დავიჭირე ცხენები. ამ დროს მომესმა სროლა იქიდან, იაკობ ბითარაშვილი საითკენაც გაიქცა. არ დამინახავს როგორა სცემეს კნეინას. პატარა ჩემოდანი ერთმა მკვლელმა წაიღო. ვნახე ისიც, რომ მკვლელებმა გაჩხრიკეს მოკლული ილია და მერე ტყეში შევიდნენ და მიიმალნენ. სანამ სახლში წავიდოდი ამ ამბის შესატყობინებლად, ტყეში შევედი საქიროებისთვის, როდესაც გამოვედი, დავინახე ჯაში და სტრაჟნიკები.

1907 წელს 12 სექტემბერს ლაბაურისათვის ხელმეორედ გამოუკითხავთ. მას უთქვამს: მე პირველ ჩვენებაზე არა ვთქვი რა იმის შესახებ, რომ ორ მკვლელს ვიცნობ. ერთი ილია ჭავჭავაძესთან ნამსახური პავლე ფშაველიშვილია, მეორე სოფ. ახატანის მცხოვრები, მაგრამ მისი გვარი და სახელი ვეღარ მომიგონია. ამ უკანასკნელმა გაისროლა პირველად თოფი და მოჰკლა ილია ჭავჭავაძე.

16 ნოემბერს მესამედ გამოუკითხავს ლაბაურს და მაშინ უჩვენებია: პირველ გამოკითხვაზე იმის შიშით, რომ ჩემი ოჯახი არ დაღუპულიყო, ვერა ვბედავდი სიმართლის თქმას. ვერა ვთქვი, როგორ მოჰკლეს ჭავჭავაძე ან მისი მსახური, ვინ იყვნენ მკვლელები. ეხლა, მუქარის მიუხედავად, გადავსწყვიტე ყველაფერი ვთქვა. როდესაც გავიარეთ წიწამური და ტყეში შევედით, პირველი გამოვარდა ახატნის მცხოვრები გიგოლა ბერბიჭაშვილი და შემოსძახა „გაჩერდიო“. თავადმა მიბრძანა, ცხენები გამერეკა. მეც შეუტიე, მაგრამ რადგან გზა ტალახიანი იყო და ცხენებიც დაიქანცნენ, ბოროტმოქმედებმა წინიდან მოგვიარეს და გააჩერეს ცხენები. ამ დროს იაკობი, ეტყობოდა შიშით, გადმოხტა და არაგვისაკენ ბუჩქებში შევარდა. გიგოლა ბერბიჭაშვილმა პირველმა ესროლა ილია ჭავჭავაძეს თოფი. დაჭრილი ჭავჭავაძე მაშინვე ეტლიდან გადმოვარდა. ვინ სცემა კნეინას, ვერ შევნიშნე და აგრეთვე ისიც, ბერბიჭაშვილის გარდა, სხვა ვინმემ გაისროლა თუ არა თოფი. ბოროტ-მოქმედთა შორის, პავლე ფშაველიშვილისა და გიგოლა ბერბიჭაშვილის გარდა, იყვნენ აგრეთვე დუშეთის მაზრის ახალ სოფლის მამასახლისად ნამყოფი ვანო ინაშვილი და ჭავჭავაძეს მსახურად ნამყოფი გიგო მოძღვრიშვილი. მკვლელობის შემდეგ ინაშვილმა და ბერბიჭაშვილმა კნეინას გულიდან „ბროშკა“ ააცალეს. როდესაც ყველაფერს მორჩნენ, მითხრეს: თუ ვინმე რამე გკითხოს, სთქვი, თავს თეთრ პაგონიან კიტელებსა და ბუხრის ქუდებში გამოწყობილი აფიცრები დაგვეცნენ-თქო. თუ გაგიმხელია, რომ ჩვენ ვიყავით, სახლს გადაგიწვამთ და ცოლშვილს ამოგიხოცავთო.

გამოძიებას გამოურკვევია, ამ მკვლელობაში პავლე ფშაველიშვილის მონაწილეობა. დაპატიმრებულ პავლე ფშაველიშვილს (იგივე აფციაური) სხვა და სხვა დროს განუცხადებია: ჩემთან მოვიდნენ ბერბიჭაშვილი, ვანო ინაშვილი, ვიღაც ერთი იმერელი და მითხრეს, წამოგვყევი ჭავჭავაძის მოსაკლავად საგურამოშიო. მე ჯერ არ დავთანხმდი, მაგრამ როდესაც ინაშვილი და ბერბიჭაშვილი დამემუქრნენ, მოგკლავთო, დავთანხმდი. თავ-დაცემის დროს ფშაველიშვილი ტყეში იყო, არ გამოსულა იქიდან და ამის გამო არც უნახავს, როგორ მოხდა მკვლელობა. მკვლელობის შემდეგ დავბრუნდი ინაშვილთან სხვა და სხვა ნივთებით და დავიწყეთ ნივთების გაყოფა. მე არაფერი ამიღია და მალევე განვშორდი ამხანაგებს.

[illegible] ბოქაულს დაუპატიმრებია წიწამურის მცხოვრები გიორგი ხიზანაშვილი, რომელსაც განუცხადებია: 1907 წელს აგვისტოში ს. წიწამურში ჩემთან მოვიდნენ ნამამასახლისარი ივანე ინაშვილი, პავლე ფშაველიშვილი, გიგოლა ბერბიჭაშვილი და ერთი იმერელი. ფშაველიშვილმა სთქვა: სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა, მოიკლას ილია ჭავჭავაძე იმისათვის, რომ იგი გლეხებს ავიწროვებსო. წიწამურში მათ დაჰყვეს მთელი ღამე. მეორე დღეს, 30 აგვისტოს, დილით წავედით ტყეში. ინაშვილმა გვიბრძანა მე და ფშაველიშვილს, დამდგარ-ვიყავით ტყეში მაღლობზე და როცა გზაში გამოჩნდებოდა ეტლი ილია ჭავჭავაძისა ნიშანი მიგვეცა. მართლაც, ნიშანი ფშაველიშვილმა მისცა. როცა ჩასაფრებულებს ეტლი გაუსწორდათ, ტყიდან გავარდა რამდენიმე თოფი და ილია ჭავჭავაძე ეტლიდან გადმოვარდა. გამოცვივდნენ ფშაველიშვილი, ინაშვილი, ბერბიჭაშვილი და იმერელი. ბერბიჭაშვილი მივარდა კნეინას, თოფის კონდახი თავში დაჰკრა და იქვე წააქცია. იაკობ ბითარაშვილმა ერთხელ გაისროლა რევოლვერი, მაგრამ გამოუდგნენ ინაშვილი და მისი ამხანაგები, რამდენჯერმე თოფი ესროლეს და ბუჩქებში მოჰკლეს. ამის შემდეგ გზაზე ამოვიდნენ. ბერბიჭაშვილი მივარდა კნეინას და ყურებიდან საყურეები ჩამოაცალა, ინაშვილმა თავადს საათი ააცალა. როცა ჩემთან მოვიდნენ, ხელში ჩემოდანი ეჭირა, მაგრამ რომელს, არ მახსოვს. მკვლელებმა მიბრძანეს, არავის არაფერი უთხრაო და ზედაზნის გზისაკენ წავიდნენო.

გიგოლა ბერბიჭაშვილი და ივანე ინაშვილი დაიმალნენ და დღემდე არსადა სჩანან. გიგოლა მოძღვრიშვილს, უთქვამს: 1906 წელს სალდათობიდან დავბრუნდი და ილია ჭავჭავაძესთან შევედი სამსახურში. პირველად მეფუტკრეს მასლოვს ვეხმარებოდი; მკვლელობის სამი კვირის წინად ამ ადგილზე სხვა დაიჭირეს, მე-კი ჭავჭავაძეს ოჯახობაში ვმუშაობდი. 29 აგვისტოს ჩემმა ძმამ, სანდრომ, ნიშნობაში მიმიწვია. მე წავედი და როცა ორი დღის შემდეგ დავბრუნდი გზაზე გავიგე, რომ ჭავჭავაძე მოეკლათ.

გიორგი ხიზანაშვილს უთქვამს: ამ საქმისა მე არა ვიცირა. 30 აგვისტოს ტყეში ვიყავი და ნახშირს ვწვავდი. საღამოთი წიწამურში დავბრუნდი და იქ გავიგე ჭავჭავაძის მოკვლის ამბავი. ბოქაულ მარკევიჩისათვის მკვლელობის შესახებ არა მითქვამს-რაო.

პავლე ფშაველიშვილს მეორედ უთქვამს: მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. არავის ამ მკვლელობაში არ გამოვტეხილვარო. ფშაველიშვილი 1908 წელს 11 მაისს მეტეხის ციხიდან გაიქცა და დაიმალა.

ყოველივე ზემოდ მოხსენებულის გამო სასამართლოში მისცეს: დუშეთის მაზრის სოფ. საგურამოს მცხოვრებნი თედო ლაბაური (32 წლისა), სოფ. წიწამურის მცხოვრები გიგოლა მოძღვრიშვილი (27 წლის) და გიორგი ხიზანაშვილი (29 წლისა).

(დასასრული ზეგ)

—

გუშინ უკვე გათავდა საქმის გარჩევა და სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა. სამშაბათს დავბეჭდავთ საქმის გარჩევის ანგარიშს, ეხლა-კი მოვიყვანთ განაჩენს. განაჩენი გამოცხადდა 2 ნახ. საათზე. სასამართლომ დამნაშავედ იცნო თედო ლაბაური, გიორგი ხიზანაშვილი და გიგოლა მოძღვრიშვილი ილია ჭავჭავაძისა და მსახურის იაკობ ბითარაშვილის მოკვლაში და კნ. ოლღა ჭავჭავაძის მოკვლის განზრახვაში და მიუსაჯა სამივეს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და ჩამოხრჩობა.

ახალი ამბავი

ტფილისი

სახალხო უნივერსიტეტების დაკეტვა. როგორც ბაქოს გაზეთებს პეტერბურგიდან ატყობინებენ, უმაღლეს მთავრობას განზრახული აქვს მთელს იმპერიაში დაჰკეტოს სახალხო უნივერსიტეტები.

მედვედევის გადადგომა. მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ი. ს. მედვედევს სამსახურისთვის თავი დაუნებებია (კ.)

სამუსიკო სკოლა. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლაში 44 მოსწავლე შესულა. აქედან 20 ქართველია, 18 სომეხი, 5 რუსი და 1 ებრაელი.

თეატრის დათვალიერება. გუშინ ტეხნიკოსთა განსაკუთრებულმა კომისიამ დაამთავრა დათვალიერება ქართულ თეატრისა.

„მნათობის“ დაკეტვა. ადმინისტრაციის განკარგულებით, დაიკეტა ყოველ კვირეული ჟურნალი „მნათობი“.

„გოლოს კავკაზა“. ამას წინად დაკეტელი რუსული გაზეთი „გოლოს კავკაზი“, „ტ. ლ.“-ს სიტყვით, დღეს გამოვა.

ჯამაგირი. ტრამვაის დირექციამ გამოუცხადა მოსამსახურეებს, რომ ნოემბრის მეორე ნახევრის ჯამაგირებს უფულობის გამო დეკემბრის ათ რიცხვებამდე ვერ მიიღებთო.

წერა-კითხვის სკოლა ავლაბარში. 28 ნოემბერს ტფ. სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის გამგეობამ დაადგინა, დეკემბრის პირველ რიცხვებში გახსნას ავლაბარში სკოლა. წერა-კითხვის მსურველთა ჯგუფმა მასწავლებლის კანდიდატებად დაასახელა სტუდენტები ბ. ტყემალაძე და ს. ჯაფარიძე

გრ. რობაქიძის ლექცია. ხუთშაბათს საღამოს, 4 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძე არტისტიულ საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას: „აკაკი წერეთელი და მისი პოეზია“ ბილეთები იყიდება არტ. საზ. დარბაზში და წერა-კითხვის საზოგადოებაში.

კიდევ ტრამვაის მსხვერპლი. გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზედ, ვერიდან ტრამვაის ვაგონით მომავალებულა ქალაქის სკოლის 12 წლის მოსწავლე სამადაშვილი. გოლოვინის პროსპექტზე, სამხედრო ტაძარის პირდაპირ, სამადაშვილი ჩამომხტარა ვაგონიდან, მაგრამ მეორე მხრიდან მომავალი ვაგონი დასტაკებია და ყმაწვილი გაუსრესია. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

სას.-სამეურნეო საზოგადოება. 28 ნოემბერს თავ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით მოხდა კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება. კრებას დაესწრო 30-მდე წევრი; აქედან ქართველთაგანი დაესწრო მხოლოდ ოთხი-ხუთი კაცი. კრებამ განიხილა ფირალოვის მოხსენება საოპერაციო ბიუროს მოქმედების განგრძობის შესახებ. მომხსენებლის აზრით ბიურო საცდელად უნდა დაარსდეს ექვსი თვით. კრებამ მიიღო მოხსენება და გადასდო საჭირო ფული ბიუროს შტატის შესანახად მომავალ წლისათვის. შემდეგ კრებამ მთელი დრო მოანდომა აგრონომის საკოვის მოხსენების მოსმენას. მოხსენება შეეხებოდა ახალ საშუალებებს კალიასთან ბრძოლის საქმეში. საკოვმა თითქმის ორი საათი ილაპარაკა. სხვათა შორის, მან დაასახელა ერთი მწერი, რომელიც ბუნებრივი მტერია კალიისა და კვერცხშივე ანადგურებს მას. მომხსენებლის აზრით, ეს მწერი ხელოვნურად უნდა გაშენდეს იქ, სადაც კალია იბუდებს ხოლმე. დასასრულ საკოვმა სთქვა, მთავრობამ რომ თვით-მმართველობა შემოიღოს, გაადვილდება კალიასთან ბრძოლაო.

ქუთაისი

მიწის ძვრა. 17 ნოემბერს, დილის 7 ნახევარ საათზე, ქუთაისში დიდი მიწის ძვრა იყო. შეშინებული ხალხი სახლებიდან გამოვარდა, ზოგი საცვლების ამარა. ბევრი სახლი დაზიანდა, ბევრს ბუხარი დაენგრა და სხვა. მიწის ძვრამ დაახლოვებით 4-5 წამის გასტანა, პატარა ხანს უკან კიდევ იძრა მიწა, მაგრამ უფრო სუსტად.

კრება. 9 დეკემბრისთვის დანიშნულია კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს თავმჯდომარის მაგიერი. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, კრებას წარუდგება განსახილველად მოხსენება სამეურნეო გაზეთის დაარსების შესახებ ქართულს ენაზე. სამეურნეო საზოგადოების „კოლხიდის“ წევრთა კრებამ შარშან სურვილი გამოსთქვა, რომ საზოგადოებამ გამოსცეს სამეურნეო გაზეთი ქართულ ენაზე და ეს ორი საზოგადოება რომ შეთანხმდებოდეს და შეერთებულის ძალით გამოსცემდეს გაზეთს, კარგი იქნებაო.

ტარიფი ჭიათურის შტოზე. როგორც შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე ზდანოვიჩი იტყობინება პეტერბურგიდან, საკითხი ტარიფის დაკლების შესახებ ჭიათურის შტოზე განიხილება სატარიფო კომიტეტში 1 დეკემბერს.

საყასბო იჯარით. ქალაქის საყასბოს იჯარით აღებაზე ბევრმა გამოაცხადა სურვილი. უდიდესი ფული, რომელიც 27 ნოემბრის ვაჭრობაზე შეაძლიეს ქალაქს 14.205 მანეთი იყო. თვით ქალაქს ათი თვის განმავლობაში მიუღია 11.651 მან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ენკენისთვის აქეთ მომატებული ნიხრი მოქმედებს, წლიური შემოსავალი ბევრათ იმატებს როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობა ვაჭრობას არ დაამტკიცებს.

პოლიტიკური საქმეები. სასამართლო პალატის სესიამ წოდებათა წარმომადგენელთა მონაწილეობით გაარჩია ორი საქმე. კაკაბაძის, კილაძის, გენკეხიძის და მალანიას ჰბრალდებოდათ ჭიათურაში გაკვრა და გავრცელება პროკლამაციისა, რომლითაც მუშებს იწვევდნენ საბოიკოტოდ ფორფულის წინააღმდეგ. სასამართლომ პირველი ორი გაამართლა, ხოლო დანარჩენთ ერთი წლით ციხე მიუსაჯა. ლეჩხუმის საქმის შესახებ სასამართლომ გამოაცხადა შემდეგი განაჩენი: ჩიკვაიძეს მიუსაჯა ციმბირში გადასახლება, თევდორაძეს, სილაქაძეს და გუგავას — სამი წლით ციხე, აბაშიძეს, კურჟანიანს, გიორგი და დომენტი გოგებაშვილებს და გუგავას — ორი წლით ციხე იმ პირობით, რომ ამათ ჩაეთვალოთ ის ხანი, რომელიც ციხეში გაატარეს, და ახვლედიანს — ერთი წლით ციხე. ბრალდებულთ იცავდნენ მექი ფლავა, გელაზაროვი და კაუხჩიშვილი.

ახალი სასწავლებელი. ბავშვებისთვის მზრუნველ საზოგადოებას განუზრახავს დაარსოს ქუთაისში მესამე რიგის სასწავლებელი, სადაც უფასოდ ასწავლიან წერა-კითხვას ღარიბ ბავშვებს. გამგეობას განზრახვა აქვს შემდეგში თანდათან გააფართოვოს პროგრამა.

ებრაელთა დახმარება. 26 ნოემბერს მდგომარე წლის თებერვალში ცეცხლისაგან დაზარალებულ ებრაელთა დამხმარე კომიტეტმა გაუნაწილა დაზარალებულთ 10,000 მ.

პატარა ფელეტონი

ვინ სტყუის?

(პასუხი „ზაკავკაზ. ობოზრ.“-ს)

„ზაკ. ობოზრ.“-ემ თავის დღევანდელ მეთაურში სიყალბეს მწამებს, პარტიულ ფანატიზმს მახვევს თავზე და სხ.

მე ვწერდი: რას წარმოადგენს ამ წუთი-სოფელში აზნაურიან თავადი, **როგორც წოდების კაცი** მეთქი. ჩემის რწმენით, იგი მხოლოდ თავის წოდებრივ სარგებლობას ეძებს. ჩემგან ხაზ-გასმული სიტყვები გაზეთმა „ზაკავ. ობოზრ.“-მ ვერაგულად გამოსტოვა და მწამებს, თითქო მე თვითეულ თავადსა და აზნაურს ხალხის მტრად ვთვლიდე. გაზეთს არ ესმის საანბანო ჭეშმარიტება, რომ ადამიანი თავის ადამიანობას ჰკარგავს, როცა რომელსამე წოდებას ემხრობა. წოდება — განხეთქილების წყაროა, ხელოვნური გაყოფაა ხალხის ორ-ბანაკად და თვითეული ბანაკისთვის განსაკუთრებულ უფლების მინიჭება, რომლითაც მეტი უფლებით მოსილი წოდება ყოველთვის სავსებით სარგებლობს როცა რომელიმე ადამიანი **წოდების კაცია**, ეს იმას ჰნიშნავს, რომ იგი არ ეძებს რაიმე საზოგადო ადამიანურ უფლებას, როგორც ადამის ტომის წევრი, არამედ თავის წოდებას ეკედლება, იმას ემსახურება.

მართლა სიყალბე იქნებოდა ჩემის მხრივ ყველა თავად-აზნაურთა პატიოსნების და ღირსების უარ-ყოფა მხოლოდ პატიოსანი და ღირსეული თავადი და აზნაური **წოდების კაცი** არ არის. კიდევ ხაზს ვუსვამ ამ სიტყვებს, რათა უფრო მაგრად აღვბეჭდოთ ისინი „ზაკ. ობოზრ.“ ფარლალა აზროვნებაში.

როცა „ზაკ. ობოზრ.“ თავად-აზნაურთა წოდებისაკენ გვიწვევს, ისეთ ხალხის ოჯახში გვეპატიჟება, რომელიც მხოლოდ თავისთვის ზრუნავს. ეს ჭეშმარიტება გაზეთს ერთი სიტყვითაც არ უარ-უყვია და რაც უნდა გულანძღოს და ბინძური საშუალების ხმარება დაგვწამოს, სიმართლე სიმართლედ დარჩება.

მთავრობა „ზაკ. ობოზრ.“-ზე უფრო პირდაპირია, როცა თავის პოლიტიკაში თავად-აზნაურთა წოდებას ეყრდნობა. ჩვენი ადმინისტრაციაც „ზაკ. ობოზრ.“-ზე უფრო პირდაპირია, როცა ბოქაულებად და მამასახლისებად თავადებს ჰნიშნავს; იგი ამ გვარის მოქმედებით თავის სასარგებლო ძალას ჰქმნის და ამტკიცებს.

„ზაკ. ობოზ.“-ს მიმართულება კი ამ მხრივ ყალბი და ორჭოფია: იგი ერთსა და იმავე დროს ლიბერალობს და კონსერვატორობს, ყოველნაირ რეფორმებზე მსჯელობს და ამავე დროს თავად-აზნაურთა წოდებისაკენ იწვევს ხალხს, ესე იგი, რუსები რომ იტყვიან, и невинность желаетъ соблюсти, и капиталъ пріобрѣсти.

ჩემ წერილის საპასუხოდ გაზეთი არაფერს ამბობს თავად-აზნაურთა წოდების უანგარო დემოკრატიზმის შესახებ, რათა ამ გვარად ჩემი სიტყვები გააბათილოს — წოდებრივი ანგარიშების უარყოფა ისე არ შეუძლია ამ სასიქადულო გაზეთს, როგორც ღამის წყვდიადის გაშუქება. იმას შეუძლია მხოლოდ ვერაგული ფანდების ხმარება ჩემ წინააღმდეგ საზოგადოდ და განურჩევლად ყველა თავად-აზნაურთა ამხედრება... ჩვენც გზას ვულოცავთ ამ ბრწყინვალე ასპარეზზე.

მეორე ვერაგობა „ზაკ. ობოზრ.“-ისა შემდეგში მდგომარეობს: იგი ამბობს, ილია ნაკაშიძე ყველა იმათ, რომელნიც იმისი აზრის არ არიან, ყალბ და მატყუარა ხალხს უწოდებსო. ამნაირად მე გაზეთს პარტიულ ფანატიკოსად გამოვყავარ ხალხის თვალში. ამ ვერაგობასაც ვეცადოთ გულ-ღვიძლი გაუსანჯოთ.

თავად-აზნაურობა როგორც წოდება, კერძო საკუთრების, ყველაზე უფრო კი მიწის საკუთრების მტკიცე დამცველია, ესე იგი ღრმად არის გამსჭვალული იმ ანგარებით (და არა აზრით, როგორც გაზეთს ჰგონია), რომელსაც სურს თავისი თავი სხვისი ხარჯით და შრომით გამოჰკვებოს.

თავად-აზნაურნი, თავისი მექომაგე ორგანოთი „ზაკ. ობ.“-თი, მთვარეზე რომ ბრძანდებოდნენ, ჩვენ მაშინ დიდის სიამოვნებით უწოდებდით იმათ „иначе мыслящіе“-ბად, არა ჩვენსავით მოაზრეებად, როგორც ეს გაზეთს სურს. ვარსკვლავთ მრიცხველნი ამტკიცებენ, რომ მთვარეზე ხალხი არ არის, მაშასადამე იქ თავად-აზნაურთა წოდებას და მათ ორგანო „ზაკ. ობოზრ.“-სებური მიმართულება არავისთვის საზარალო არ იქნება. ხოლო, რადგან, საუბედუროდ, თავად-აზნაურთა წოდება და მათი ქომაგი გაზეთი აქ დედამიწაზე ჩვენ გვერდით ცხოვრობს, იმათი მიმართულება სულ სხვა ელფერით იმოსება [illegible] ფრივი აზროვნება [illegible] ствіе, სხვაგვარად [illegible] ლავთ, რადგან წოდებრივი პოლიტიკა, თავის კერძო მიმართულება თავად-აზნაურობისა, როგორც წოდების, დღეს ყველასათვის ნათელი და აშკარაა — ხალხის საზარალო პოლიტიკა გახლავთ.

ჩვენი სასიქადულო ორგანო ხალხის ზურგზე ბრწყინვალე წოდების გვერდით მოკალათებას აპირებს და ქვეყანას ამცნევს, ილია ნაკაშიძე პატივს არ გვცემს მხოლოდ იმიტომ, რომ ამით იმისი მოწინააღმდეგენი ვართო. **ილია ნაკაშიძე.**

1844 წ. გაუქმებული

კაკის სამთავრო

მცირე მიმოხილვა

(დასასრული *)

როგორცა ვთქვით დანიელი მეტად სასტიკი კაცი იყო. მან კაკის შუაგულში, ბაზარში ჩამოახრჩო ორი წარჩინებული ინგილო — ხუციშვილი და ოთარაშვილი. ხალხი მეტის-მეტად დელავდა და რაც დრო გადიოდა, მისი ბოღმა იზდებოდა. ამას ხელს უწყობდნენ მისი ძმებიც, რომელნიც იმ თავითვე მტრულად უცქეროდნენ, როგორც უკანონოდ ტახტის დამჭერს. დანიელი არც უფროსი შვილი იყო მამისა, არც ხალხის მიერ არჩეული; გამოდიოდა, რომ ძალმომრეობით ჩაეგდო ხელში მემკვიდრეობა. დანიელიც ამზერილი იყო ძმებზედ, იმის ყურს ესმოდა ძმების გმინვა, ამიტომ მოინდომა ორივე უფროსი ძმის გაქრობა.

ერთი, მამედხანი, სოფელ კაკის თავში მოჰკლა ქეიფის დროს. ხალხის გადმოცემა ამბობს: დანიელ-სულტანმა განზრახ მიიწვია ძმა და როცა შეზარხოშდნენ, დანიელმა უთხრა: შენ არ იცი, როგორ უნდა ღვინის სმა, უნდა უცებ ასწიო, კისერი გადიღო და თვალის დახამხამებაზე გადაჰკრაო. მამედ-ხანმაც ასე ჰქნა, მაგრამ გადიღო თუ არა კისერი, დანიელმა ფიცხლავ იშიშვლა ხმალი, შემოსცხო ყელში და იქვე გააგდებინა თავი. ამავე დღეს, ხალხის გადმოცემით, მოჰკლეს სოფელ ბაიდარლოში მეორე ძმა. ხალვიბეგი, ძიმელის მოკვლაც დანიელს დაჰბრალდა.

ამ საქციელით მოთმინებიდან გამოსულმა ქვრივმა დედინაცვალმა და ძმებმა დანიელს კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან უჩივლეს. ქვრივი დედის რჩევით იჩივლეს აგრეთვე კაკში ჩამოხრჩობილ ხუციშვილისა და ოთარაშვილის ჭირისუფალთ. ამ საჩივრების გამო კავკასიის მთავრობამ უარი უთხრა დანიელს მთავრად დამტკიცებაზედ. დანიელი განრისხდა, 1844 წელს აჯანყება მოახდინა სამთავროში რუსეთის წინააღმდეგ და დაღესტანში გაიქცა მრავალი ერთგულ ქვეშევრდომით და ბეგით. რუსეთის ჯარი დაეცა აჯანყებულის რეზიდენციის სოფ. ელისუს, მიწასთან გაასწორა მთავრის სასახლე, მიანგ-მოანგრია სოფელი, როგორც მეამბოხეთა ბუნაგი, სამუდამოდ ჯარი ჩააყენა შიგ და ციხე-სიმაგრენი ააგო. დანიელისა და მასთან გაქცეულ ბეგების მამული სახელმწიფოდ გამოაცხადეს*).

ახალი სულთანი აღარ დანიშნეს და თვით სასულთნო 1844 წლიდან ჭარ-ბელაქნის ოლქს შეუერთეს, რომლიდანაც ორი საბოქაულო დაარსეს, ელისოსი (შემდეგში კაკისა) და ყარასუსი (შავიწყლისა). ასე დასრულდა კაკის სასულთნოს დღენი.

დაღესტანში გაქცეულმა დანიელმა, ყველა ამაზედ რუსის მთავრობას საინგილოს დარბევით უპასუხა. დანიელი ხომ გაიქცა, თან გაიდევნა, სხვათა შორის, რამდენიმე გამოჩენილი ყაჩაღი: ჰაჯი მურადი ელისოელი, ბორჩა და სხვენი. ამათ შეადგინეს დაღესტანში ყაჩაღთა [illegible], ჩამოდიოდნენ [illegible] გზებით [illegible]

იხ. ფორმულიარი N 10.

*) [illegible]

ავთ.

[illegible]ში და შიშის ზარსა სცემდნენ მცხოვრებლებს. მათ ალვირ-წახსნილ[illegible]ობას საზღვარი არა ჰქონდა, იტაცებდნენ კაცებს, ქალებს, ბავშვებს, მიჰყავდათ დაღესტანში და განსათავისუფლებლად დიდს სასყიდლებს ართმევდნენ პატრონებს.

დაღესტანში გაქცეულს დანიელს დიდი იმედი ჰქონდა შამილისა. მაშინ შამილის დიდება სჭექდა და ჰქუხდა და შარავანდედით მოსილი მისი ძლიერების სახელი შორს იყო გავარდნილი. დანიელს იმედი ჰქონდა, შამილი დაეხმარებოდა და წარსულს დიდებას დაუბრუნებდა. მაგრამ მოსტყუვდა: შამილი ძალიან მკვახედ დაუხვდა დანიელს და შორს დაიჭირა საქმე. შორს-გამჭვრეტელმა შამილმა, ამბობს ხალხის გადმოცემა, გაიგო თუ არა დანიელის სურვილი, სთქვა: მაგისთანა კაცს არ მივიღებ, მაგან რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, შეჰფიცა მორჩილება და მერე კი უღალატა, მე რაღა საბუთი უნდა მქონდეს იმისი, რომ მეც არ მიღალატებსო. დანიელმა ბევრი მთხოვნელი თურმე მიუჩინა, ეხვეწებოდა, მიმიღეო. ბოლოს, შამილს საქმე რომ გაუჭირეს თხოვნით, დასთანხმდა და უთხრა მთხოვნელებს: „მე თქვენ თხოვნას უარს ველარ ვეტყვი, რახან გინდათ, მივიღოთ, მაგრამ იცოდეთ ეგ დაღუპავს დაღესტანსაო.“

ესეც მოხდა. ბოლოს, როცა შამილის ძალა მისუსტდა, დანიელს რწმენა დაეკარგა შამილის შველისა [illegible]ალად განდგომა და ღალატი განიზრახა. დანიელს იმედი ჰქონდა, თუ შამილს უღალატებდა, რუსეთი [illegible]ს სამთავროს დაუბრუნებდა. დანიელმა მართლაც დიდი მონაწილეობა მიიღო თურმე შამილის გაცემაში, მაგრამ სამაგიეროდ თავისი სამთავრო ველარ იხილა.

შამილის დაცემის შემდეგ, დანიელი ზაქათალაში ჩავიდა, მაგრამ იმას არა თუ სამთავრო არ დაუბრუნეს, არამედ საინგილოში ცხოვრებაც აუკრძალეს. მთავრობამ პენსიად დაუნიშნა წელიწადში 3,000 მანეთი და ნუხაში ცხოვრების ნება მისცა. ხალხის გარდმოცემა ამბობს, როცა დანიელი ზაქათალიდან ნუხაში გაასახლეს, მან ეტლში მჯდომმა ზურგი შეაქცია თავისს ყოფილს სამთავროს და ისე გაიარა. ამბობდა თურმე, თუ კი არ დამიბრუნებენ ჩემს სამთავროს, რად მინდა მისი დანახვაო. აღარ უნდოდა დაენახა ის სამთავრო, სადაც ერთს დროს ისე ძლიერი, გალაღებული და თავისუფალი იყო.

ნუხაშიაც დიდხანს ვერ გასძლო დანიელმა, სამი წელიწადი ძლივს გაატარა და მერე ნება ითხოვა სტამბოლში წასვლისა, სადაც სამუდამოდ დაესახლა და იქვე გამოესალმა წუთი-სოფელს. ხალხის გარდმოცემა ამბობს, დანიელმა დიდს ტანჯვაში დალია სული, ესრედ წოდებულ ანტონის ცეცხლით გახდა ავად და ისე იყეფებოდა, როგორც ძაღლიო. ასეთი სიკვდილი ძმებისა და ხალხის ტანჯვით მოუვიდაო.

ზ. ედილი.

წერილები

ერევანი. ამას წინად ადგილობრივ საპატიმროში მკვლელობა მოხდა. ერთმა ტუსაღმა მოჰკლა მეორე, გვარად აზიზიანცი. ამ მკვლელობას საფუძვლად უდევს მოკლულის ავ-კაცობა-შანტაჟისტობა. მოკლული აზიზიანცი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო შეძლების პატრონად ითვლებოდა თურმე, მაინც საამდროო ვაჟკაცობას—ცარცვა-გლეჯას და შანტაჟს მისდევდა. ბევრი ჰყოლია მას აწიოკებ—აცრემლებული, მაგრამ ბოლონდელ ნავარდობაზედ ბედმა უმუხთლა უკანასკნელ რაინდულ მოქმედებაზედ კოკა ტატუნდა და თვითაც დაიღუპა.

ეხლა სწორედ ის დროა, როდესაც აქაური სოფლელნი ბამბას ჰყიდიან. ხშირად მთელი სოფლის ბამბას ერთს ან რამოდენისამე გლეხს ანდობენ და ის ჰყიდის მაზანდის კვალობაზედ ადგილობრივ მსხვილ ვაჭრებზე ათიათას ფუთობით და იბარებს ფულს.

ამ დღეებში ერთმა ახლო სოფლელმა გაჰყიდა ქალაქში ბამბა, მთელ სოფელში დასარიგებლად კუთვნილი 17000 მან. და სახლში დაბრუნდა. მას პირველ ღამესვე ეწვია ექვსი სხვა და სხვა „ღირსების“ მოხელე, ჟანდარმის ტანისამოსში გამოწყობილი, რომელთაც გაოცებული მასპინძელი გულუხვად დაუხვდა. კარგად შეწუხების შემდეგ, უცხო სტუმრებმა აუხსნეს მასპინძელს მათი მობძანების მიზეზი:

„ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ შენს სახლში ყალბი ფული ინახება, გირჩევნიან, შენის ნებით მოიტანო; გასინჯავთ, მართლა ყალბია თუ არაო. ამ სიტყვების გაგონებაზედ გლეხს თურმე ელდა ეცა: გაიფიქრა, იქნებ მართლა დღეს მიღებული ფული ყალბიაო, აიღო მთელი ფული, მოწიწებით „პოლკოვნიკს“ დაუწყო სტოლზე და თავმდაბლად მოახსენა: „ესაა, ბატონო, მთელი ჩემი და ჩვენი სოფლის სიმდიდრე; სწორედ ეს ფული მივიღე დღეს ბამბაშიო“, და გულის ფანცქალით დაუწყო პასუხს ლოდინი.

შეიქნა გაცხარებული მუშაობა. ქაღალდის ფულის გაშლა-გამოშლა და სინათლეზედ გახედვა-გამოხედვა. ფულს დასტა-დასტა აწყობდნენ და ლუქით ბეჭდავდნენ. ბოლოს მასპინძელს გამოუცხადეს, ფული სულ ყალბიაო ხვალ ჟანდარმთა სამმართველოში ჩამოდი ამბის შესატყობადაო და თითონ არხეინად გზას გაუდგნენ.

ამ „მოხელეების“ უფროსი „პოლკოვნიკი“ მოკლული აზიზიანცი გახლდათ.

თავ-დარეტიანებული გლეხი მალე გამოერკვა და მეზობელს შესჩივლა თავისი ვარამი. მეზობელი უფრო, შორს მჭვრეტელი გამოდგა, ფიცხლავ დატრიალდა, შეჰკრიბა რამდენიმე ახალგაზდა, ყველანი შეიარაღებულნი მძარცველებს გამოუდგნენ და შუა გზაზედ წამოეწივნენ. ასტყდა სროლა, რომლისდროსაც ერთი მდევართაგანი დაიჭრა, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა მძარცველი შეიპყრეს და ხელებ გაკრული უკანვე დააბრუნეს. ფული უკლებლივ ჩაიბარეს; იმწამსვე აცნობეს ქალაქ ერევანში ეს ამბავი. მივიდა ადმინისტრაციის წარმომადგენელი და საქმის გარემოება გამოირკვა. ბოროტმოქმედნი ერევნის საპყრობილეში ჩასვეს, სადაც მათმა ბედმა საუკუნო თავშესაფარი იპოვნა...

ნ. ჯ—ძე.

მოსკოვი. უმაღლეს კურსების მსმენელმა ქართველმა ქალებმა განიზრახეს დაარსონ თვისტომობის წრე. ამისთანა წრის დარსება მოსწავლე ქალთა შორის პირველი მაგალითია. არც ერთ ქალაქში არ არსებობს ქალთა თვისტომობის წრე. წესდება უკვე შეიმუშავეს. უმთავრეს მიზნად დასახულია ურთიერთი მატერიალური დახმარება და სულიერი განვითარება. დამფუძნებელი კრებაც გამართეს კურსების ადმინისტრაციის ნებართვით და დირექტორს წარუდგინეს დასამტკიცებლად წესდება. რადგან დაბრკოლება მოსალოდნელი არ არის, შეიძლება ქალთა თვისტომობის წრე დაარსებულად ჩავთვალოთ.

სპარსეთის ამბები

შაჰის ჯარის აჯანყება.

შაჰს მოხსენება მოუვიდა თავრიზიდან, რომ თავრიზის დასამშვიდებლად გაგზავნილი ჯარი აჯანყდაო. ჯარის-კაცები თხულობენ კონსტიტუციის აღდგენას და იმუქრებიან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლიუციონერების მხარეს გადავალთო.

შაჰი და რუსეთი.

შაჰი წარჩინებულ მოხელესა ჰგზავნის პეტერბურგს. იგი სთხოვს რუსეთის მთავრობას, დახმარება გამიწიეთ, რომ ხელმწიფობა შემრჩესო.

ზილი-სულთანი.

ზილი-სულთანის შვილის-შვილი ქალი შეირთო შაჰის ბიძა-შვილმა. ამის გამო შაჰმა ნება დართვა ზილი-სულთანს სპარსეთში დაბრუნდეს.

ეინუდ დოვლეს ბანაკში.

„პეტ. დეპ. სააგენტო“ იუწყება: ეინუდ-დოვლეს ბასმინჯაში მოუვიდა 100 თეირანელი ყაზახი, რომელნიც წინად ურმიაში იყვნენ, და აგრეთვე 100 ბახტიარი.

ოსმალეთი

პარლამენტი.

„პეტ. დეპ. სააგენტო“ უწყება: ოსმალეთის პარლამენტი 4 დეკემბერს გაიხსნებაო.

სამინისტრო ამზადებს სეფე-სიტყვას და სენატორების სიას.

დეპუტატთა პალატაში, როგორც ჰფიქრობენ, იქნება 24 ბერძენი, 15 არაბი, 8 სომეხი, 3 ებრაელი, დანარჩენნი—ოსმალები იქნებიან.

დეპუტატები ყოველ დღე მიდიან სტამბოლში. მთავრობა დიდ მზადებაშია: უნდა, რომ პარლამენტის გახსნა ეროვნულ დღესასწაულად გადააქციონ.

საბა-ედინი.

ამას წინად სტამბოლში ხმა გავრცელდა, რომ ცნობილი მოღვაწე, დეცენტრალიზაციის ლიგის მეთაური საბა-ედინი მოჰკლესო. მაშინვე დიდძალი ხალხი მივიდა დიდ-ვეზირთან სწორე ამბის გასაგებად დიდმა ვეზირმა გამოუცხადა, რომ საბა-ედინს მხოლოდ მუქარის წერილი მოუვიდაო.

აჯანყება ბოლგარიაში.

ფრანგული გაზ. „ტან“-ი იუწყება, რომ ავსტრიელი აგენტები გულმოდგინედ აქეზებენ ალბანელებს ასაჯანყებლად კონსტიტუციონურ რეჟიმის წინააღმდეგო. მათ უკვე შეადგენინეს ალბანელებს რამდენიმე რაზმი და დიდ აგიტაციას ეწევიან, რომ საყოველთაო აჯანყება მოახდენინონ. ამ საქმისთვის ავსტრიელები ფულს არა ზოგვენ.

ალბანელები იმუქრებიან, მიტროვიკასა და სხვა ქალაქებს დავეცემით, თუ არ გაანთავისუფლებენ იმ ალბანელ ყაჩაღებს, რომლებიც კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ დაატუსაღესო.

ახალგაზდა ოსმალებმა ჯარი გაგზავნეს ალბანელების წინააღმდეგ. განთქმულმა მონასტირის პოლკმა, რომელმაც პირველად გამოაცხადა კონსტიტუცია, უკვე გაფანტა ალბანელთა რაზმები.

უცხოეთი

პრეზიდიუმის არჩევნები ავსტრიის რეიხსრატში.

ავსტრიის პარლამენტში (დეპუტატთა პალატაში) ამოირჩიეს ვიცე-პრეზიდენტებად (თავმჯდომარის თანაშემწეებად): პერნერსტორფერი—სოციალ-დემოკრატი, შტეინვენდერი—გერმანულ სახალხო პარტიის წევრი, პოგასნიკი—სლოვინელი, ზაზვორკა—ჩეხი.

იტალია და ავსტრია.

მთელს იტალიაში ბოიკოტი გამოუცხადეს ავსტრიის საქონელს.

გავრცელდა სენსაციონური ხმა, ვითომ იტალიის მთავრობამ შეატყობინა ავსტრიისას, რომ სამთა კავშირში მხოლოდ იმ პირობით დავრჩებით, თუ ტრიესტში იტალიურ უნივერსიტეტს დაარსებთ და ტრიესტის ოლქში ავტონომიას დააწესებთო.

რედაქტორ-გამომცემელი
ივანე სოზიაშვილი.

განცხადებანი

სადილები
საუკეთესო ერბოზე დამზადებული:
2 თავი და 1 არაყი—50 კ.
3 „ „ —75 კ.
4 „ „ —1 მ.
ახლად გახსნილ რესტორანში
ალბერტინი
«ვერსალის“ სასტუმროს ქვეშ. ვორონცოვის ძეგ. პირდაპირ, სიხუფთავე საუცხოვო. სამზარეულოს განაგებს გამოცდ. კულინარი. ცალკე კაბინეტები. ღვინო საუკეთესო ფირმებისა ადგ., და რუს. და საზ.-გარ. (12—ნაძ.—3)

გეომეტრი და მარკშაიდერი
გ. ს. ასათიანი
გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა და** სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**
ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—б.—62)

ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ
1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ 1 მანეთიდან
ხელის მაშინები 25 მანეთიდან
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიაჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (10—б.—3)
THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK

გალოშები
„პროვოდნიკისა“
18 97
პატენტ-მიღებული
საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე
პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვიდრით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.
უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.

გალოშები
პროვოდნიკისა
1888
წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის
ტფილისი და ბაქო. მიუნხ და ვეის
(50—б.—28)

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში
1888
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნარდად და ცალობით: ●
რეზინის საეკიპაჟო შინები,
პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),
პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,
მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.
„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.
ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების
„პროვოდნიკი“-სა

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.